ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის
ო ქ მ ი №01-06/15

დაბა ქედა, **29 ნოემბერი, 2024 წელი.**

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 12:30 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 14.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ჯიმშერ სამნიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ირაკლი მახარაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი;
ინგა ანანიძე - საკრებულოს წევრი.
სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/15 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

29 ნოემბერი, 2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	
21	ინგა ანანიძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ სხდომაზე დასწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 ნოემბრის №01-06/15 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

3. **ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის III კვარტლის შესრულების ანგარიში.**

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 ნოემბრის №01-06/15 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს გააცნო „ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი **№**12-95243321-95, 27.11.2024 წელი) და განმარტა, რომ მიმდინარე წლის 22 ნოემბერს №14 რიგგარეშე სხდომაზე დამტკიცებულ ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილებაში, დაფიქსირდა (ბიუჯეტის გადმოგზავნისას) შეცდომა. რის გამოც უნდა მოხდეს მისი ხელახალი დამტკიცება და ამის შემდეგ №9 დადგენილება იქნება ძალადაკარგულად გამოცხადებული.

აღნიშნულ ასაკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N:10; 29.11.2024 წელი).

2.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი **№**12-95243311-95, 26.11.2024 წელი) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნუსხის დადგენა, რომელითაც შესაძლებელი იქნება ელექტრონული აუქციონის ფორმით განხორციელდეს პრივატიზება - საკუთრებაში გადაცემა როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირებზე. წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (უძრავი/მოძრავი ქონების) ნუსხა შემდეგი სახით:

რიგითი N	ქონების დასახელება	ქონების მისამართი	მესაკუთრე	შენობა-ნაგებობის ფართობი	დაკავებული მიწის ფართობი	მიწის სარეგისტრაციო N	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ყოფილი თამბაქოს დამზადების ადმინისტრაციული შენობა (კანტორა)	დაბა ქედა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №3	ქედის მუნიციპალიტეტი	154.50	132.00	21.03.33.072	17430.00	
2	ყოფილი თამბაქოს საწყობი	დაბა ქედა, აღმაშენებლის ქუჩა N17	ქედის მუნიციპალიტეტი	403.00	290.00	21.03.35.073	12410.00	
3	სასურსათო მაღაზია (პრიანიკები)	სოფელი ქვ. მახუნცეთი	ქედის მუნიციპალიტეტი	115.30	125.00	21.01.37.007.01.500	18594.00	
4	ყოფილი სასადილოს შენობა	სოფელი მერისი	ქედის მუნიციპალიტეტი	72.40	113.00	21.05.33.026	6922.00	
5	ყოფილი რძის ქარხანა	დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა N36	ქედის მუნიციპალიტეტი	547.40	4163.00	21.03.35.005	106233.00	
6	ავტომანქანა FORD TRANSIT 2.4D მიკროავტობუსი სახ. ნომრით (HB137BB)	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი				4800.00	საწყისი საპრივატიზებო თანხა 6000 ლარი შემცირდეს 20 %-ით და განისაზღვრო

								ს 4800 ლარი.
7	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქედის მუნიციპალიტეტი დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა (სასამართლოს შენობის მიმდებარე ტერიტორია)	ქედის მუნიციპალიტეტი	-	39.00	21.03.34.584	2574.00	
8	ავტომობილის ასასვლელი (სარემონტო) რამპა	ქედის მუნიციპალიტეტი სოფ. ძენწმანი	ქედის მუნიციპალიტეტი				1150.00	

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს დაბა ქედაში აღმაშენებლის ქუჩა #17-ში არსებული ყოფილი თამბაქოს საწყობის შენობა-ნაგებობის საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ განმარტა, რომ აღნიშნული ქონების საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღების უფლება მას არ ქონდა, აუქციონის წესით შეძენის შემთხვევაში ავტომატურად მოხდებოდა მისი საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღება.

აღნიშნულ ასაკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები;

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

(განკარგულება N:გ-95.95243342; 29.11.2024 წელი).

3.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის III კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის III კვარტლის შესრულების ანგარიში (წერილის ნომერი №12-95243092-95, 04.11.2024 წელი).

აღნიშნულ ასაკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.9524 29.11.2024 წელი).

4.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელმა მერაბ ნაკაშიძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში (წერილის ნომერი №12-95243332-95, 28.11.2024 წელი).

აღნიშნულ ასაკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95243343, 29.11.2024 წელი)

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 12:30 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**